ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N22

21.12.2018

14:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

ბიუროს სხდომათა დარბაზი

მიმდინარე წლის 21 დეკემბერს, 14:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წეცრი) დავით რურუა (კომისიის წევრი) და შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან მიქავა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ზაზა ცინაძე და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 6 (ექვსი) წევრის დასწრებით.

სხდომას თავმჯდომარეობდა - გიორგი ჩაკვეტაძე

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი *(12-0318344134-03, 10.12.2018)* (მომხსენებელი - ლევან მიქავა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე);
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი *(12-03183548-03, 20.12.2018)* (მომხსენებელი - გიორგი ჩაკვეტაძე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე);

მიმდინარე საკითხები (მომხსენებელი - გიორგი ჩაკვეტაძე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე);

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ, კომისიას წარუდგინა ინფორმაცია, 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის ძირითად პარამეტრებთან დაკავშირებით.

ლევან მიქავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გადამუშავებულ ვერსიაში ბიუჯეტის შემოსულობების მოცულობა იზრდება 56 000,0 ათასი ლარით და განისაზღვრა 927 631,5 ათასი ლარი. არსებული ბიუჯეტი გაზრდილია, მეორე წარდგენით, ძირითადად გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლების ახალი კლასიფიკაციის ხარჯზე. საგადასახადო შემოსავლები ბიუჯეტის წინა წარდგენასთან შედარებით რჩება უცვლელი და შეადგენს 658 415,2 ათასი ლარს. მათ შორის: დამატებული ღირებულების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი შეადგენს 473 415,2 ათას ლარს. საწარმოთა ქონებაზე გადასახადი 150 000,0 ათასი ლარი; ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი 19 000,0 ათასი ლარი; მიწაზე ქონების გადასახადი 16 000,0 ათასი ლარი. გრანტები ბიუჯეტის წინა წარდგენასთან შედარებით გაიზარდა 50 000,0 ათასი ლარით და შეადგენს - 51 341,5 ათას ლარს. სხვა შემოსავლები ბიუჯეტის წინა წარდგენასთან შედარებით რჩება უცვლელი და შეადგენს - 190 774,8 ათასი ლარს, მათ შორის: შემოსავალი საკუთრებიდან 8 650,0 ათასი ლარი; სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 70 000,0 ათასი ლარი; მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 47 000,0 ათასი ლარი; - სანქციები (ჯარიმები და საურავები) 38 000,0 ათასი ლარი; - სხვადასხვა შემოსავლები – 27 124,8 ათასი ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვრა 927 631,5 ათასი ლარის ოდენობით. წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ასიგნებები პრიორიტეტების მიხედვით შემდეგნაირად არის გადანაწილებული: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა განისაზღვრება 98 509,6 ათასი ლარით. ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება იზრდება 37 568,9 ათასი ლარით და შეადგენს 211 366,6 ათასი ლარს. ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება განისაზღვრება 88 558,5 ათასი ლარით. ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა რჩება უცვლელი და განსაზღვრულია 5 897,0 ათასი ლარის ოდენობით. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება რჩება უცვლელი და განსაზღვრულია 20 648,1 ათასი ლარის ოდენობით. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა იზრდება 1 223,9 ათასი ლარით და შეადგენს 192 254,6 ათას ლარს. უცვლელი რჩება ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა 48 377,6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო სოციალური დაცვის პროგრამებიდან იზრდება უფასო სასადილოებით მომსახურება რაიონებში 1 723,9 ათასი ლარით და შეადგენს 18 511,8 ათას ლარს. განათლების პრიორიტეტი იზრდება 20 207,3 ათასი ლარით და შეადგენს 179 270,4 ათას ლარს. პრიორიტეტის ფარგლებში ძირითადად იზრდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა 20 000,0 ათასი ლარის ოდენობით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაციისთვის (დემონტაჟი/მშენებლობა და გამაგრება/რეაბილიტაცია ჩაუტარდება 21-მდე

ავარიულ საბავშვო ბაგა-ბაღის შენობას). კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა იზრდება 9 974,0 ათასი ლარით და შეადგენს 31 567,4 ათას ლარს, ძირითადად იზრდება სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობის ქვეპროგრამა 10 000,0 ათასი ლარით, სადაც გათვალისწინებულია 2 (ორი) ახალი მულტიფუნქციური საზოგადოებრივი (სპორტული) ცენტრის მშენებლობის დაწყება, სამგორის რაიონში ჭიდაობის დარბაზის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, საბურთალოს ჩოგბურთის კორტების რეაბილიტაცია და ვაკის პარკში არსებული ჩოგბურთის კორტების რეაბილიტაციის ღონისძიებები.

სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

აზრი გამოთქვეს:

ზაზა ცინაძე - 2019 წელს დაიწყება მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსების მშენებლობა, ვარკეთილის და დიდი დიღმის ტერიტორიაზე, ეს იქნება გარდამავალი პროექტი, რადგან დაახლოებით 2 (ორი) წელი გაგრძელდება სამუშაოები. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ასეთი მასშტაბის ინფრასტრუქტურული პროექტები თბილისში არ განხორციელებულა, რომელიც ორიენტირებული იქნება კონკრეტულ უბნებში სპორტის განვითარებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდული ოლიმპიადის ჩატარებისთვის შეიქმნა კონკრეტული ინფრასტრუქტურა, მისი დანიშნულება არ იყო მულტიფუნქციური და არ ითვალისწინებდა სპორტში მასობრივი ჩართულობის კომპონენტს. აღნიშნული პროექტი, კი თბილისში სპორტში ჩართულ ბენეფიციართა რიცხვს რამდენიმე ათასით გაზრდის. 2019 წლისთვის სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის საჭირო თანხებია მობილიზებული.

გიორგი ჩაკვეტაძე - 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის პარამეტრები მართლაც შთამბეჭდავია, შეიძლება ითქვას, რომ ისტორიული ბიუჯეტია. უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წლის მანძილზეც თბილისში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა. 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი პირველად პროექტთან შედარებით გაზრდილია. გათვალისწინებულია კომისიის რეკომენდაცია და სპორტული ინფრასტრუქტურის კუთხით ბიუჯეტი გაზრდილია 11 000,0 ათას ლარამდე, მათ შორის პროგრამა სპორტული მოედნების მშენებლობა 200,0 ათასი ლარით, რაც გულისხმობს ორ ლოკაციაზე ექსტრემალური პანდუსების მოწყობას. ასევე პარასპორტის მხარდაჭერის პროგრამაც გათანაბრებულია წინა წლის მაჩვენებელს, რაც შეეხება წარმატებული სპორტსმენი ბავშვების მხარდაჭერას 260 ბენეფიციარს აკმაყოფილებს პროგრამა, ხოლო მწვრთნელთა მხარდაჭერა 350 ბენეფიციარს. კომისიის ერთ-ერთი რეკომენდაცია, რომელიც არ ასახულა წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში არის *სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამა,* მაგრამ ჩვენ მივიღეთ დაპირება, რომ ბიუჯეტის შემდგომ ცვლილებებში ეტაპობრივად მოხდება აღნიშნული კლების დაბალანსება, რადგან ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამაა, რითაც სპორტული ფედერაციები სარგებლობენ შეკრებების, კალენდარული ღონისძიებების და სხვადასხვა მხარდაჭერით. აღსანიშნავია, რომ ამავდროულად ოლიმპიური წელია და თბილისში იგეგმება სხვადასხვა სპორტული ფესტივალების ჩატარება, იგივე რეკომენდაცია შეეხება ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამას, მაგრამ აქ კლება ბევრად ნაკლებია, თუმცა ორივე პროგრამა აუცილებლად დაბალანსდება, რასაც წლების გამოცდილებაც გვიჩვენებს. ბიუჯეტის საერთო სურათი მართლაც შთამბეჭდავია და ყველა ძირითადი პრიორიტეტი სახეზეა. რაც შეეხება გამგეობების სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებს აქაც

შენარჩუნებულია ბიუჯეტი, ხოლო რაიონებში სპორტული ინფრასტრუქტურის, მშენებლობა/რეგილიტაცია 1 649,0 ათასი ლარითაა გაზრდილი წინა წელთან შედარებით. რაც შეეხება ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის პროგრამას, რომელიც მოიცავს უფასო სწავლებას სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში, პროგრამით 1 460 სოციალურად დაუცველი ბავშვის სწავლა ანაზღაურდება. ასევე შენარჩუნებულია მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეებში უფასო სწავლების პროგრამა. ყველა ეს პარამეტრი გვაძლევს იმ სურათს, რომ 2019 წლის ბიუჯეტის პროექტს მხარი უნდა დაუჭიროს კომისიამ და გავიტანოთ საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

ზაზა ცინაძე - ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის პროგრამა, რომელიც აკმაყოფილებს 1500-მდე ბენეფიციარს, არაა მხოლოდ ერთი, რითაც სარგებლობენ სოციალურად დაუცველი ბენეფიციარები, ჩვენ გვაქვს სპორტული ცენტრები, სადაც შიდა ბრძანებით თავისუფლდებიან გადასახადებისაგან განსაკუთრებით ნიჭიერი სპორტსმენები, ასევე ერთი ოჯახიდან სპორტში ჩართული ორი, ან მეტი პირი და სხვა კონკრეტული შეღავათები. ჩვენი სამსახურის მიზანია, სპორტში ჩართულობა გახდეს მასობრივი და ხელმისაწვდომი თბილისში მცხოვრები ყველა მოქალაქისათვის.

გიორგი ჩაკვეტაძე - ჩვენი მიზანია, მასობრივი სპორტში ჩართულობისთვის შევქმნათ ევროპული სტილის მოდელი, რაც გულისხმობს ყველასთვის ხელმისაწვდომ ფასს და სასურველ ლოკაციას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, ლევან ჯაფარიძე, დავით ჭელიძე, ავთანდილ ცინცაძე, დავით რურუა, შალვა ოგბაიძე - (6), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0)).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად მხარი დაუჭირა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტს და გადაწყვიტა საკითხის გატანა საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

კომისიას, სხდომის თავმჯდომარემ წარუდგინა დადგენილების პროექტი, სპორტული პროფილის ქონებაზე შეღავათიანი განაკვეთის დაწესების შესახებ.

გიორგი ჩაკვეტაძე - წარმოდგენილი პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ხდება შეღავათიანი განაკვეთის დადგენა საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის - სეკ 006 2016, ეკონომიკური საქმიანობის სახეების შესაბამისად: საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სექცია R, განყოფილება 93, ჯგუფი 93.1-ის კლასი 93.11, 93.12 და 93.13. კლასიფიკატორის ამ სექციას განეკუთვნება საქმიანობა სპორტის დარგში, გართობის და დასვენების სფეროში(93), მათ შორის: 93.1-საქმიანობა სპორტის სფეროში, 93.11-სპორტული ობიექტების საქმიანობები, 93.12-სპორტული კლუბების საქმიანობები, 93.13-ფიტნესის ობიექტები. აღნიშნული სახით ზუსტად მოხდება შეღავათის განსაზღვრა, რითაც პირველ რიგში მუნიციპალური ა(ა)იპ-ები და თბილისის მუნიციპალიტეტში არსებული სხვა სპორტული დაწესებულებები ისარგებლებენ.

გასულ წლებში, დადგენილებაში არ იყო დეტალურად გაწერილი საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორები, რომლებიც მოიცავს საქმიანობას სპორტის სფეროში. პროექტით, დადგენილი შეღავათები გავრცელდება 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართალ ურთიერთობებზეც.

ზუსტი ინფორმაცია არ გვაქვს რომელი სპორტული ობიექტი სარგებლობს დადგენილი შეღავათით, გარდა მუნიციპალური დაწესებულებებისა, რადგან ეს წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას, მაგრამ ვიცით, რომ ბევრი სპორტული ობიექტი, საფეხბურთო კლუბების ქონება, სტადიონები და სხვა სრულად სპორტული პროფილის სუბიექტი ისარგებლებს. დიდი მომართვიანობიდან გამომდინარე, აღნიშნული შეღავათი მნიშვნელოვანია სპორტული ობიექტებისთვის და მასში ჩართული ბენეფიციარებისთვის.

აზრი გამოთქვეს:

ზაზა ცინაძე - აღნიშნული პროექტი მომზადდა სხვადასხვა სამსახურის ერთობლივი მუშაობის შედეგად, ჩვენი სამსახური აღნიშნული პროექტის მუშაობის ფარგლებში, აფიქსირებდა პოზიციას, რომ სპორტულ უწყებებს გადასახადი შემცირდებოდა, რადგან ისინი ნაკლებად შემოსავლიანია და გამოიწვევდა ტარიფის ზრდას ბენეფიციარებისთვის.

ავთანდილ ცინცაძე - საჭიროა ისეთი მექანიზმების განსაზღვრა, რომ კლასიფიკატორი ბუნდოვანი არ იყოს და ნახევრად პროფილურმა ორგანიზაციებმა პრეტენზიები არ გამოთქვან ამ წესით სარგებლობაზე.

გიორგი ჩაკვეტაძე - აღნიშნული კლასიფიკატორების წესში შეტანით ზუსტად ხდება იმ ობიექტების განსაზღვრა, რომელთაც შეუძლიათ ამ შეღავათით სარგებლობა. აქედან გამომდინარე ეს უკვე გათვალისწინებულია, როგორც სადაზღვეო მექანიზმი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, ლევან ჯაფარიძე, დავით ჭელიძე, ავთანდილ ცინცაძე, დავით რურუა, შალვა ოგბაიძე - (6), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0)).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად მხარი დაუჭირა: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტს და გადაწყვიტა საკითხის გატანა საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს საახალწლო საქველმოქმედო აქციის შესახებ გააცნო ინფორმაცია.

გიორგი ჩაკვეტაძე - როგორც წინა წელს ჩავატარეთ საახალწლო საქველმოქმედო ღონისძიება, სადაც 150 ბენეფიციარს დავეხმარეთ, წელსაც ვაპირებთ, უბრალოდ არა დღის ცენტრების აღსაზრდელებთან, არამედ ავჭალის არასრულწლოვანთა N11 სარეაბილიტაციო დაწესებულების 28 ბენეფიციართან მისვლას, საახალწლო ნობათის, ტანსაცმლის, სპორტული ინვენტარის,

წიგნების და კომპიუტერული დისკის გადაცემას, ასევე წარმატებული სპორტსმენების მიყვანას და ამხანაგური მატჩის გამართვას.

ინიციატივა კომისიის წევრებმა მოიწონეს და მზაობა გამოთქვეს საახალწლო საქველმოქმედო ღონისძიებაში მონაწილეობის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ჩაკვეტაძე